ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ,
12 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ,
1958 ᲬᲔᲚᲘ
№ 96 (1266)
ფასი 30 კაპ.
გამოცემის მე-15 წელი.

# ლელო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲗᲐᲜ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲤᲘᲖ-ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲗᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ



ესტონეთის დელეგაციის წარმომადგენლები მიესალმებიან თავიანთ კალათბურთელთა წარმატებას.

ფოტო ი. მღებრიშვილისა.



# ლაპარაკობენ ჩვენი სტუმრები

## ვ. ნაიდა
ლენინგრადის დელეგაციის წარმომადგენელი.

მოსწავლეთა IV საკავშირო სპარტაკიადის შედეგების მიხედვით ჩვენ — ლენინგრადელებმა სამართლიანად დავიმსახურეთ თანამოქალაქეთა გულისწყრომა. მართლაც, საერთო მე-6 ადგილი არც თუ ისე სახარბიელოა ლენინგრადის ნორჩი სპორტსმენებისათვის.

„შარშანდელი ნაკლოვანებანი წელს შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად გამოვასწორეთ. გუნდები ყოველ სახეობაში დავაკომპლექტეთ ძლიერი სპორტსმენებით და გადაწყვეტილი გვაქვს საერთო ჩათვლაში აუცილებლად გადავინაცვლოთ წინ.

საერთო წარმატებაში ხელს შეგვიშლის ის გარემოება, რომ ლენინგრადის გუნდს დააკლდა რამდენიმე ძლიერი სპორტსმენი. ასე მაგალითად, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ცურვაში ლ. ვიქტოროვა მომავალ სპარტაკიადაზე მონაწილეობას ვერ მიიღებს იმის გამო, რომ იგი სსრ კავშირის ნაკრები გუნდის შემადგენლობაში ემზადება ევროპის პირველობისათვის. მაგრამ ცალკეულმა დაბრკოლებებმა არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქონიოს გავლენა მთელს გუნდზე.

## ა. სტარუფოლსკისი
ლიტვის დელეგაციის ხელმძღვანელი.

ჩვენი რესპუბლიკის ნორჩი სპორტსმენები სიხარულით შეხვდნენ ცნობას მოსწავლეთა V საკავშირო სპარტაკიადის საქართველოს დედაქალაქში ჩატარების შესახებ. ბევრს მხოლოდ გაგონილი ჰქონდა საქართველოს წარმტაცი ბუნების, სტუმართმოყვარე ხალხის, შესანიშნავი სპორტსმენებისა და ბაზების შესახებ. და ჩვენ ამაში დავრწმუნდით მაშინვე, როგორც კი ფეხი შევდგით საქართველოს მიწაზე. ყველგან ვგრძნობთ გულთბილ დამოკიდებულებას. ჩვენმა მასპინძლებმა დაგვათვალიერებინეს თბილისის ღირსშესანიშნაობები. ვიყავით საქართველოს უძველეს დედაქალაქ მცხეთაში, დავტკბით ფუნიკულორის მშვენებით.

ლიტვის რესპუბლიკის მოსწავლეთა გუნდში 240 ახალგაზრდაა. თუ მოსწავლეთა გასული წლის სპარტაკიადაზე ჩვენ მხოლოდ მე-9 ადგილზე აღმოვჩნდით, წელს ვეცდებით უფრო მაღალი შედეგი ვაჩვენოთ. განზრახული გვაქვს საპრიზო ადგილები დავიკავოთ წყალში ხტომაში, ფრენბურთში, კალათბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, სპორტის ამ უკანასკნელ სახეობაში დიდ იმედებს ვამყარებთ საერთაშორისო შეჯიბრებაში მონაწილე ნიჭიერ პირველთანრიგოსან ლაიმა ბალაიშიტეზე. უძლიერესი სპორტსმენებითაა დაკომპლექტებული კალათბურთელ ჭაბუკთა გუნდი, სადაც სხვებთან ერთად გამოდის „ჟალგირისის“ ოსტატთა გუნდის მოთამაშე ჰ. ჰედრაიტისი.

## ვ. მიტროფანოვი
ყაზახეთის ნიჩბოსანთა გუნდის მწვრთნელი.

ყაზახეთის სპორტული დელეგაციის 240 წევრიდან თბილისში უკვე ნახევარზე მეტია ჩამოსული. ყველა ისინი გადიან წვრთნას იმ ბაზებზე და იმ ინვენტარით, რომელიც გულკეთილად დაგვითმო თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს ხელმძღვანელობამ.

შარშან ყაზახეთის სპორტსმენებმა ვერ დაიკავეს სახარბიელო ადგილი. ეს იმიტომ, რომ სპორტის ზოგიერთი სახეობა, მაგალითად, ჩოგბურთი, ცურვა, ნიჩბოსნობა და სხვა, არ იყო სათანადოდ კულტივირებული.

ცალკეულ სახეობაში გვაქვს კარგი იმედები. ტანმოვარჯიშეები გამოვლენ პირველი თანრიგით, ხოლო წყალში მხტომელები, რომლებიც მონაწილეობდნენ ამას წინათ თბილისში გამართულ საკავშირო პირველობაზე, გვპირდებიან დიდ წარმატებას. რაც შეეხება ნიჩბოსნებს, რომლებსაც მე ვამზადებდი, მათაც შეუძლიათ დაეხმარონ კოლექტივს საერთო წარმატებაში.

ძალიან მოგვწონს თბილისი, რომელთანაც ჩვენ უკვე მოვასწარით გაცნობა. იგრძნობა, რომ სპარტაკიადის ორგანიზატორებმა დიდი მუშაობა ჩაატარეს, რათა ღირსეულად შეხვედროდნენ ბავშვებს. შექმნილი პირობები უთუოდ სრულიად გვიწყობს ხელს ჩვენი უნარის სრული გამოვლინებისათვის.

## რ. ჩალაგოვი
გზათა მიმოსვლის სამინისტროს დელეგაციის წარმომადგენელი.

ჩვენს გუნდს ის თავისებურება ახასიათებს, რომ მასში თავმოყრილი არიან სხვადასხვა რესპუბლიკათა სპორტსმენები. რა თქმა უნდა, ასეთ პირობებში ძნელია გუნდების დაკომპლექტება და შეთამაშება ფეხბურთში, კალათბურთში, წყალბურთში და ა. შ მაგრამ ნორჩმა რკინიგზელმა სპორტსმენებმა დიდი მონდომება გამოიჩინეს და დღეისათვის შეხმატკბილებულ, მონოლითურ ანსამბლს წარმოადგენენ.

ცალკეულ სპორტსმენთაგან მინდა აღვნიშნო მეტად ნიჭიერი, კარგი მონაცემების მქონე ჩოგბურთელი გ. ავერინი, რომელიც საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ უძლიერეს მოთამაშედ ითვლება.

შარშანდელ სპარტაკიადაში გზათა მიმოსვლის სამინისტროს გუნდი ათეულის ბოლოში იყო მოქცეული. წელს განზრახული გვაქვს რამდენიმე „საფეხურით“ წინ წავიწიოთ.

## ნ. როგოვა
მოლდავეთის ჩოგბურთელთა გუნდის მწვრთნელი.

მოლდავეთის დელეგაციიდან ჩვენ ყველაზე ადრე ჩამოვედით ლამაზ თბილისში. მიგვიღეს მეგობრულად, ჩვენ შევუდექით წვრთნას.

პირველმა შეხვედრებმა თურქმენელ სპორტსმენებთან წარმატება მოგვიტანა. დაე, ასე გამოვიდეს მთლიანად ჩვენი დელეგაციაც. IV სპარტაკიადაზე მოლდავეთის დელეგაციამ ბოლო ადგილი დაიკავეთ და ჩვენი სურვილია წელს იგი სხვას „გადავულოცოთ“ შევძლებთ ამას თუ არა — მომავალი გვიჩვენებს. ახლა იმის თქმაღა შეიძლება, რომ დელეგაცია ამისათვის სათანადოდ მოემზადა.

# „დინამოს“ საიუბილეო

7 აგვისტოს მოსკოვში „დინამოს“ ცენტრალურ სტადიონზე საზეიმო ვითარებაში გაიხსნა სპორტსაზოგადოება „დინამოს“ საიუბილეო სპარტაკიადა.

35 წლის წინათ ფ. ძერჟინსკის ინიციატივით საბჭოთა კავშირში შეიქმნა სპორტსაზოგადოება „დინამო“. მალე მისი ორგანიზაციები ჩამოყალიბდა სხვადასხვა ქალაქსა და რესპუბლიკაში. ამჟამად „დინამოს“ ორგანიზაციებში ირიცხება 250 სპორტის დამსახურებული ოსტატი, 37 დამსახურებული მწვრთნელი, 1 219 სპორტის ოსტატი და ათეულათასობით თანრიგოსანი. სპორტსმენების ეს დიდი არმია წარმატებით მონაწილეობს ჩვენი ქვეყნისა და საზღვარგარეთის მრავალრიცხოვან შეჯიბრებებში.

საიუბილეო სპარტაკიადის ფინალური შეჯიბრება მიმდინარეობს სპორტის 19 სახეობაში. საქართველოს დინამოელებმა წარმატებით დაიწყეს ბრძოლა პირველობისათვის. ქართველმა ველოსიპედისტებმა გ. ჯოხაძემ სპრინტში და კ. შენგელიამ 100-წრიან რბოლაში მესამე საპრიზო ადგილები დაიკავეს. ასევე შედეგი აჩვენა ტყვიით სროლაში სპორტის ოსტატმა შილოვმა.

ჭიდაობა სამბოში კარგად გამოვიდნენ გ. სიმონიშვილი (ქვემსუბუქი წონა) და ე. ქარქუსაშვილი (ქვემძიმე წონა), რომლებმაც მოიპოვეს სპორტსაზოგადოება „დინამოს“ სპარტაკიადის ჩემპიონობა.

თანამედროვე ხუთჭიდში წარუმატებლად გამოვიდა სპორტის ოსტატი ა. პევცოვი, რომელიც საცხენოსნო კროსში მე-19 ადგილზე აღმოჩნდა, ხოლო სპორტის ოსტატი მურომცევი მეორე ადგილზე გამოვიდა. ახალგაზრდა პირველთანრიგოსანი როგავა მეხუთე ადგილზე იყო.

წარმატებით გამოდიან ჩვენი მძლეოსნები. რ. შავლაყაძემ გადალახა რა 205 სმ სიმაღლე, გახდა სპარტაკიადის ჩემპიონი. კარგად გამოვიდა სპორტის დამსახურებული ოსტატი ნ. დუმბაძე, რომელმაც ბადრო ტყორცნა 46 მ 67 სმ და აგრეთვე მოიპოვა პირველი ადგილი. 80 მეტრზე თარჯრბენში მ. ჭოჩლაძემ მეორე ადგილი დაიკავა. თარჯრბენში 200 მეტრზე კარგი შედეგით — 25,2 წამი, პირველი იყო ი. დიაჩკოვი, რომელმაც დაამყარა „დინამოს“ ახალი რეკორდი ჭაბუკთათვის. ახალი რესპუბლიკური რეკორდი ბირთვის კვრაში დაამყარა ბლიაძემ — 15 მ 64 სმ.

დაიწყო ფინალური შეხვედრები ფრენბურთში, კალათბურთში, წყალბურთსა და ფეხბურთში. თბილისელი ფრენბურთელები და კალათბურთელები დამარცხდნენ მოსკოველებთან, ხოლო თბილისელმა წყალბურთელებმა მოუგეს ლვოველ კოლეგებს მატჩი ანგარიშით 4:2.

ბრძოლა გრძელდება. პირველ ადგილზე მიდის ლენინგრადის კოლექტივი. საქართველოს დინამოელები ჯერჯერობით მეხუთე ადგილზე არიან.

მ. ამნიაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქარხანა მაღლაკის ველზე

## შიდასაკოლექტივო პირველობაზე მონაწილეობდა 17 გუნდი

## საწარმოო ტანვარჯიში ყურადღების ცენტრში უნდა იყოს

### კვლავაც დავიცავ ჩემი ქარხნის სპორტულ ღირსებას

ჯერ კიდევ სკოლაში და სახელოსნო სასწავლებელში ფალავნის სახელი მქონდა მოპოვებული ჭიდაობაში. გადავწყვიტე ეს სახელი ქარხანაშიც შემენარჩუნებინა ისე, რომ შრომასთან შემეთავსებინა სპორტული მეცადინეობა. ახლა საწარმოო დავალებას სისტემატურად ვასრულებ 155-170 პროცენტით, ხოლო სპორტულ მიღწევათა აქტივი ასეთი მაქვს: შიდასაქარხნო სპარტაკიადაზე უმძიმეს წონაში ჭიდაობა სამბოში პირველი ადგილი დავიკავე. 1955-1956 წლებში უმძიმეს წონით კატეგორიაში ქალაქის ჩემპიონი გავხდი და მოვხვდი ქალაქის ნაკრებში. 1957 წლის რესპუბლიკურ ფესტივალზე ქართულ ჭიდაობაში ჩემპიონის სახელი მოვიპოვე; მიმდინარე წელს სპორტსაზოგადოება „განთიადის" რესპუბლიკურ პირველობაზე (სამბოში) პირველ ადგილზე გამოვედი, ხოლო „განთიადის" საკავშირო პირველობაზე 5 სპორტის ოსტატს მოვუგე და პირად ჩათვლაში მეხუთე ადგილი დავიკავე.

ამას წინათ სპორტის ოსტატის საპატიო წოდება მომენიჭა. ეს მავალებს შემდგომში კიდევ უფრო სრულყო ჩემი სპორტული შესაძლებლობანი და დავიცვა მშობლიური ქარხნის სპორტული ღირსება.

ა. ბარათაშვილი,
სპორტის ოსტატი, საავტომობილო ქარხნის ძრავების საამქროს ხარატი.





ს უ რ ა თ ზ ე: მარცხნივ ძალოსანი ჯ. შენგელია და ფრენბურთელი ტ. კოვალჩუკი მუშაობის დროს.

### ქართული ავტომობილის სამჭედლოში

ქუთაისიდან სამხრეთით, 5 კილომეტრის დაშორებით, ე. წ. მაღლაკის უკაცრიელ ველზე ამ თორმეტიოდე წლის წინათ მხოლოდ ქარის ზუზუნი არღვევდა მყუდროებას. მაგრამ მალე მოვიდნენ პირველი მშენებლები. ბულდოზერების, მძლავრი ამწეების გუგუნმა და დაუღალავი მშენებლების ხალისიანმა შეძახილებმა აახმიანა მიდამო. მცირე ხანში წამოიჭიმა საავტომობილო ქარხნის ვეებერთელა კორპუსები, მეავტომობილეთათვის აშენდა მრავალბინიანი ქოხტა სახლები, სკოლა, კლუბი, საავადმყოფო, ბაზარი, აფთიაქი, მაღაზიები, ბიბლიოთეკა, სტადიონი, სპორტული მოედნები.

ქუთაისელი მეავტომობილეები შრომასთან ერთად ხალისიანად ისვენებენ. მათი ერთ-ერთი საყვარელი გართობაა სპორტი, რომელსაც უნარიანად ხელმძღვანელობს ფიზკულტურის ძირეული კოლექტივის საბჭო (თავმჯდომარე — ქარხნის დირექტორი შ. კიკნაძე).

ქარხნის სპორტულმა საბჭომ თავისი მუშაობა იმით დაიწყო, რომ ყურადღება გაამახვილა სპორტული სექციების მაღალკვალიფიციური მწვრთნელებით დაკომპლექტებაზე. ამასთან, ყურადღება მიექცა იმასაც, რომ სპორტული სექციების მწვრთნელად დაწინაურებულიყვნენ ქარხანაში აღზრდილი საუკეთესო სპორტსმენები. ასე, მაგალითად, მძლეოსნობის სექციას ხელმძღვანელობს ქარხნის სარემონტო-სამშენებლო საამქროს მუშა ო. შირლოვსკი, ქართული ჭიდაობის სექციას — ძრავების საამქროს ხარატი, სპორტის ოსტატი ა. ბარათაშვილი, ფრენბურთის სექციას — საიარაღო საამქროს ხარატი დ. კოვალჩუკი და სხვ. სულ აქ 17 სხვადასხვა სპორტული სექცია მუშაობს, რომლებშიც 1.580 ახალგაზრდაა გაერთიანებული.

როდესაც ქარხნის მეხუთე სპარტაკიადა ჩატარდა, ყურადღების ცენტრში იდგა შეჯიბრება კალათბურთში და ეს არცაა გასაკვირი — საქარხნო პირველობაზე მონაწილეობდა საამქროთა 17 გუნდი. შეჯიბრების მონაწილე კალათბურთელთა უმეტესობა თანრიგოსანია. სექციის ხელმძღვანელმა, სპორტის ოსტატმა ლ. არღანაშვილმა ქარხნის კალათბურთელებისაგან დააკომპლექტა ძლიერი გუნდი. მონდომებულმა წვრთნამ მალე სასურველი შედეგი გამოიღო და მიმდინარე წელს სპორტსაზოგადოება „განთიადის" ცენტრალური საბჭოს რესპუბლიკურ პირველობაზე კალათბურთში მეავტომობილეთა ახალგაზრდა გუნდი პირველ ადგილზე გამოვიდა. ასევე წარმატებით გამოვიდნენ ისინი საქართველოს პროფკავშირების II სპარტაკიადაზე, სადაც კვლავ პირველი ადგილი დაისაკუთრეს. წარმატებები აქვს ფეხბურთელთა გუნდს — „ტორპედოს".

მარტო კალათბურთელებითა და ფეხბურთელებით როდია მდიდარი საავტომობილო ქარხნის კოლექტივი. მძლეოსანთა გუნდი წარმატებით გამოვიდა საქართველოს პროფკავშირთა სპარტაკიადაზე და ქარხნებს შორის მეორე ადგილი დაიკავა. ასეთივე წარმატება მოიპოვა ველოსიპედისტთა გუნდმაც.

საკავშირო პროფკავშირების VI სპარტაკიადაზე მონაწილეობას მიიღებენ მეავტომობილე სპორტსმენები: სარემონტო მექანიკური საამქროს ხარატი მძლეოსანი ა. გრინევსკი, რომელმაც პირველი ადგილი დაიკავა 400 და 800 მეტრზე რბენაში სპორტსაზოგადოება „განთიადის" ხაზით; სიჩქარეთა კოლოფის საამქროს ხარატი, მძლეოსანი ტ. გიორგობიანი, ქალაქის ჩემპიონები ლ. უდაჩინა, ო. შიდლევსკი, ტ. კოვარჩუკი და სხვ.

საინტერესო მუშაობას ეწევიან აგრეთვე ქართული ჭიდაობის, კლასიკური ჭიდაობის, ძალოსნობისა და სხვა სექციები.

ექსპერიმენტული საამქროს ინჟინერი ა. მამულაშვილი ქარხნის ფრენბურთელთა ნაკრები გუნდის წამყვანი მოთამაშეა. სარემონტო-მექანიკური საამქროს ინჟინერი რ. კერესელიძე თავის წონით კატეგორიაში ქარხნის ჩემპიონია სიმძიმეების აწევაში. ამავე სახეობაში ჩემპიონობას კარგა ხანია ინარჩუნებს ძრავების საამქროს ტექნიკური კონტროლის უფროსი, ინჟინერი ა. ბარაბაძეც. მაგიდის ჩოგბურთში პირველობას არავის უთმობს მთავარი საკონსტრუქტორო განყოფილების ინჟინერ-კონსტრუქტორი ნ. ბებია, ქარხნის კალათბურთელთა გუნდის კაპიტანია ინჟინერ-კონსტრუქტორი ა. მურღულია.

ცნობილია, რომ ამჟამად დიდი ყურადღება ექცევა საწარმოებში საწარმოო ტანვარჯიშს და ფიზკულტურულ პაუზას. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ეს საქმე საავტომობილო ქარხანაში თვითდინებაზეა მიშვებული. მართალია, ქარხნის დირექციამ ამის შესახებ გამოსცა სპეციალური ბრძანება, მაგრამ შედეგები ჯერ კიდევ არ ჩანს. საქმეს არც იმან უშველა, რომ ქარხანაში მიღებულ იქნა საწარმოო ტანვარჯიშის ორი მეთოდისტი.

პირველად საწარმოო ტანვარჯიშს ქარხანაში ენთუზიაზმით მოჰკიდეს ხელი, შემდეგ კი რატომღაც თვითდინებაზე მიუშვეს. ამას ისიც დაემატა, რომ ზოგიერთი საამქროს უფროსი ამ საქმეს ალმაცერად უყურებს. ამიტომაა, რომ საწარმოო ტანვარჯიში არ ტარდება მცირე დეტალების, ძრავების, მასის, სიჩქარეთა კოლოფის, სამოდელო, ჩამოსასხმელ და სხვა საამქროებში.

სპორტული ბაზების სიმცირე ამჟამად ყველაზე მტკივნეული საკითხია მეავტომობილე სპორტსმენთათვის. ქარხანას არა აქვს საცურაო აუზი, ჭადრაკის ოთახი. ტანვარჯიშის ძვირფასი იარაღი გამოუყენებელია ბაზის უქონლობის გამო. სტადიონის სარბენი ბილიკები ცუდ მდგომარეობაშია.

ფაქტია, რომ ზოგიერთ საამქროში მთლიანად ჩამკვდარია ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა. სწორედ ამის გამო იყო, რომ V საქარხნო სპარტაკიადაზე არ მონაწილეობდნენ მექანიკური აღრიცხვის, სამშენებლო-სამონტაჟო, გამოსაწელ-გამამზადებელი საამქროები და ავტობაზა.

ქარხნის ფიზკულტურელები, რომელთა შორის მრავალი ნიჭიერი სპორტსმენია, მოითხოვენ სპორტული ბაზებით უზრუნველყოფას; ამას ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციოს პირველ რიგში ქარხნის ფიზკულტურულმა საბჭომ, ხელმძღვანელობამ და სპორტსაზოგადოება „განთიადმა".

ზ. მესხიშვილი

### შეთანხმებით ვმუშაობთ

ქარხნის პარტიული კომიტეტი და საამქროთა პირველადი პარტიული ორგანიზაციები მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობენ საწარმოში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის განვითარებას და ქარხნის დირექციასთან ერთად ზრუნავენ სპორტული ბაზების შექმნისათვის; ამ რამდენიმე წლის წინათ ჩვენს მრავალათასიან კოლექტივს არ გააჩნდა არც ერთი სახის სპორტული ბაზა, რის გამოც ახალგაზრდობაში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა დაბალ დონეზე იდგა. პარტიულმა ორგანიზაციამ ეს საკითხი თავისი მსჯელობის საგნად გახადა და შედეგად დღეისათვის უკვე აშენდა კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნები, შემოღობილ იქნა ფეხბურთის მოედანი, გამოიყო სპორტული ოთახი, სადაც მიმდინარეობს კლასიკური და თავისუფალი ჭიდაობის, ძალოსნობისა და სხვა სპორტული სექციების მეცადინეობა.

მაგრამ ყოველივე ეს საკმარისი არაა და ამიტომ ამას წინათ პარტიულმა კომიტეტმა კვლავ იმსჯელა სპორტული ბაზების გაფართოების შესახებ. ქარხნის ადმინისტრაციასთან, კომკავშირულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად გადაწყდა, რომ დამატებით აიგოს ჩოგბურთის, კალათბურთის, ფრენბურთის მოედნები და საცურაო აუზი.

მიუხედავად იმისა, რომ ქარხნის ახალგაზრდობას სერიოზული მიღწევები აქვს სპორტის მთელ რიგ სახეობებში, მაინც მათი ყველა შესაძლებლობა არ არის გამოყენებული. ზოგიერთ სექციას არა ჰყავს სათანადოდ მომზადებული მწვრთნელები. ნაკლები ყურადღება ეთმობა საამქროებში სპორტულ-მასობრივ მუშაობას.

თუ ქარხნის პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული კომიტეტები და ძირეული კოლექტივის საბჭო ჯეროვნად იბრძოლებენ ამ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის, ქარხნის ახალგაზრდობას თამამად შეუძლია იფიქროს კიდევ უფრო სერიოზულ წარმატებებზე.

ლ. ფანჩულიძე,
საავტომობილო ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილე.



ს უ რ ა თ ზ ე: ქუთაისის საავტომობილო ქარხნის ფრენბურთელთა ნაკრები გუნდი, რომელმაც ქალაქში პირველი ადგილი დაიკავა.

ფოტო ლ. ფაჩუაშვილისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოსწავლეთა V საკავშირო სპარტაკიადა



ს. მ. კიროვის სახელობის პარკის კალათბურთის სტადიონის ახალი მოედნის საერთო ხედი.

## 17:1, 11:0 ასეთი ანგარიშებიც იყო

10 აგვისტოს შეჯიბრებაში ჩაებნენ წყალბურთელები. მართალია, გასული სპარტაკიადის პრიზიორებიდან პირველ ტურში არავინ მონაწილეობდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მატჩები საინტერესოდ მიმდინარეობდა.

მაგალითად, ლატვიის ნორჩ წყალბურთელთა ნაკრები შარშან დაახლოებით 10 ადგილით უკან იდგა ესტონეთის გუნდზე. ახლა კი ლატვიელებმა ანგარიშით 4:2 დაამარცხეს ესტონელი წყალბურთელები.

თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა მოლდავეთისა და თურქმენეთის გუნდების შეხვედრა. მინიმალური უპირატესობით — 7:6 გაიმარჯვეს მოლდაველებმა.

ყაზახეთის წყალბურთელები საგრძნობლად ჩამორჩებოდნენ აზერბაიჯანელებს როგორც ტექნიკური მომზადების, ისე ტაქტიკის მხრივაც. მათი შეხვედრა დამთავრდა ანგარიშით 17:1 აზერბაიჯანელთა სასარგებლოდ.

რუსეთის ფედერაციის ძლიერი გუნდი კარგა ხანს ვერ ახერხებდა თავისი უპირატესობის რეალიზებას ლიტვის ნაკრებთან და მხოლოდ მას შემდეგ, რაც ერთ-ერთი ლიტველი მოთამაშე გააძევეს აუზიდან, მათ კარში გატანილ იქნა პირველი ბურთი. შემდგომში ცხადი შეიქნა რსფსრ-ს გუნდის წევრების ბულცევისა და კოზლოვის უპირატესობა სწრაფად ცურვაში და ლიტვის გუნდის კარში ზედიზედ იქნა გატანილი ბურთები. ანგარიშით 11:0 გაიმარჯვეს რუსეთის ფედერაციის სპორტსმენებმა.

## შეხვედრის ბედი მეხუთე პარტიაში გადაწყდა

სპორტსაზოგადოება „განთიადის“ მოედნებზე დაიწყო მოსწავლეთა V საკავშირო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეხვედრები ფრენბურთში. შეჯიბრებაში მონაწილე ჭაბუკთა და გოგონათა გუნდები დაყოფილი არიან 4 ქვეჯგუფად.

გასული წლის ჩემპიონი — საქართველოს ჭაბუკთა გუნდი მოხვდა ქვეჯგუფში ყირგიზეთის, მოლდავეთის, ყაზახეთისა და ლატვიის კოლექტივებთან ერთად. უნდა ითქვას, რომ საქართველოს გუნდს აქვს რეალური შანსები გავიდეს ფინალურ ჯგუფში.

გათამაშების პირველ დღეს რუსეთის ფედერაციის გოგონათა გუნდმა იოლი გამარჯვება მოიპოვა ყირგიზეთის ფრენბურთელებთან შეხვედრაში — 3:0. ასეთივე ანგარიში აღინიშნა მოლდავეთისა და ლენინგრადის გუნდების შეხვედრაში ლენინგრადელთა სასარგებლოდ. გამარჯვებები მოიპოვეს ტაჯიკეთის, აზერბაიჯანის, ესტონეთის, ბელორუსიის კოლექტივებმა.

საყოველთაო ინტერესი გამოიწვია საქართველოს და ლატვიის ჭაბუკთა გუნდების შეხვედრამ. პირველი პარტია ლატვიელებმა ენერგიული შეტევით დაიწყეს და მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ფრენბურთელები თანდათან აუმჯობესებდნენ თამაშს, მაინც შეძლეს უპირატესობის მოპოვება— 15:13. მეორე პარტიაში საქართველოს გუნდი თამაშობდა გაცილებით უფრო შეთანხმებულად, ძლიერი დამამთავრებელი დარტყმებით და ბრძოლა დამთავრდა მასპინძელთა გამარჯვებით — 15:11. მესამე პარტიაში ანგარიში ერთხანს თანაბრად იზრდებოდა — 7:7, 9:9, მაგრამ საბოლოოდ გაიმარჯვა საქართველოს გუნდმა — 15:11.

უკიდურესად დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობდა მეოთხე პარტია. ლატვიელები მატჩის წაგების აშკარა საშიშროების წინაშე აღმოჩნდნენ და სრული ძალით თამაშობდნენ. მათ გაიმარჯვეს კიდეც — 15:12.

მეხუთე, გადამწყვეტ პარტიაში ჩვენი რესპუბლიკის ფრენბურთელთა უპირატესობა აშკარა იყო. მათ მოიგეს პარტია ანგარიშით 15:7 და მთლიანად შეხვედრაც — 3:2.

ტურნირის პირველ დღეს საქართველოს გოგონათა გუნდი ისვენებდა.

## დამთავრდა წინასწარი თამაშები

მესამე ტურის შეხვედრები ნაკლებად დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობდა, ვინაიდან ესტონეთის, საქართველოს, ლატვიისა და მოსკოვის ჩოგბურთელთა უპირატესობა თურქმენეთის, „შრომითი რეზერვების“, ყირგიზეთისა და ყაზახეთის გუნდებთან შეხვედრაში იმდენად საგრძნობი იყო, რომ მათ სულ იოლად მოიგეს შეხვედრები.

ამ მატჩებით დამთავრდა წინასწარი შეხვედრები ქვეჯგუფებში. ნახევარფინალურ შეჯიბრებებში მონაწილეობისა და პირველობისათვის ბრძოლის უფლება შეინარჩუნეს ესტონეთის, საქართველოს, მოსკოვის, უკრაინის, ლატვიის, ლიტვის, რუსეთის ფედერაციის, ლენინგრადის, ბელორუსიისა და სომხეთის ჩოგბურთელებმა.

ნახევარფინალებში გამარჯვებული გუნდები ფინალში ერთმანეთს შეხვდებიან სპარტაკიადის ჩემპიონის საპატიო სახელის მოსაპოვებლად.

## მოედანზეა გიგანტი რავილ სალიმოვა

როდესაც კალათბურთში მწვავედ დადგა მაღალი ტანის სპორტსმენთა მომზადების საკითხი — ეხო პირველად შუა აზიამ გამოილო. ყაზახეთში გამოჩნდა გიგანტი უვაის ახტაევი, რომელმაც თანამედროვე კალათბურთელთა სიმაღლის ყველა რეკორდს გადააჭარბა. არანაკლები მნიშვნელობის აღმოჩენით დამთავრდა მაღალი ტანის კალათბურთელ ქალთა ძებნა უზბეკეთში. სულ რამდენიმე თვის წინ უზბეკეთის გუნდში ცენტრალური თავდამსხმელის ადგილი დაიკავა 1941 წელში დაბადებულმა რავილ სალიმოვამ. 190 სანტიმეტრზე უფრო მაღალი ვაჟი, რომელი გუნდისათვისაც გნებავთ მისწრებაა. ასეთი სიმაღლის გოგონა კი წარმოუდგენელი ნატვრაა მწვრთნელებისათვის.

შეჯიბრების წინა დღეებში თბილისის გოგონათა გუნდის მწვრთნელი გ. ბაბახანიდი ზედმეტად შეშფოთებული იყო. მის გუნდს პირველი შეხვედრა ჰქონდა სწორედ უზბეკეთთან. საგანგაშო თითქოს არაფერი იყო. თბილისის გუნდი გასული სპარტაკიადის ჩემპიონია და მაშასადამე, ერთ-ერთი უძლიერესი. უზბეკეთმა შარშან ყველა შეხვედრა წააგო და მე-16 ადგილი დაიკავა. მაგრამ გასულ წელს ამ კოლექტივს არ ყავდა რავილ სალიმოვა. წელს კი...

თბილისელთა მწვრთნელი სწორი გამოდგა. მართალია უზბეკეთის გუნდი, როგორც ტექნიკურად, ისე ტაქტიკურად საქართველოს კოლექტივზე უფრო სუსტი იყო, მაგრამ მოედანზე სალიმოვას ყოფნა მასპინძლებს საკმაოდ ბოჭავდა. ასეთი გიგანტური ტანის მიუხედავად, რავილი საკმაოდ მოქნილი, სწრაფი და მოძრავი გამოდგა. ჩვენმა გუნდმა მოიგო ეს შეხვედრა (41:35) და ქულა, რომელიც მან ამ გამარჯვების შედეგად მიიღო, მეტად საპატიო იყო.

მართალია პირველი შეხვედრები შერჩევით ხასიათს ატარებს, მოსკოვისა და უკრაინის ჭაბუკთა მატჩი ფინალურს უფრო გავდა, ვიდრე წინასწარს. ორი თანაბარი სიძლიერის კოლექტივის თამაშში იყო ყველაფერი, რაც დამახასიათებელია თანამედროვე კალათბურთისათვის: სისწრაფე, სროლების სიზუსტე, შეუპოვარი ბრძოლა ყოველი ბურთისათვის. სამწუხაროდ, მას ერთი ნაკლიც ჰქონდა — უგეგმობა. გუნდები მოქმედებდნენ ტემპიანად, აზარტულად, მაგრამ თამაშს არ დაჰკრავდა გონივრული ელფერი.

სწორია ტაქტიკა, რომელიც კალათის აღებას უმოკლესი და უმარტივესი გზით გულისხმობს. ამ შეხვედრაში ხშირად ორივე გუნდის წევრები მიმართავდნენ მართალია, ეფექტურ, მაგრამ ხშირად არარაციონალურ ხერხს იერიშებისათვის. ეს კი უარყოფითად მოქმედებდა გუნდის საერთო წარმატებაზე. შეხვედრა მოიგეს უკრაინელმა სპორტსმენებმა 67:58, რომლებმაც ბოლომდე შეინარჩუნეს თავში აღებული ტემპი და 40 წუთის მანძილზე არც ერთხელ არ უღალატეს თავიანთ შემტევ სტილს. გასული წლის ჩემპიონმა, მოსკოვის გუნდმა სტარტზევე განიცადა დამარცხება, მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ გუნდს არ აქვს უფლება იფიქროს შემდგომ წარმატებაზე, უკრაინელთა პირველი გამარჯვება მისასალმებელია, მითუმეტეს, თუ გავიხსენებთ იმას, რომ გასულ წელს კიეველი კალათბურთელები მხოლოდ მეცხრე ადგილზე იყვნენ.

თბილისის ჭაბუკთა გუნდი პირველ ორ დღეს ისვენებდა. იგი თავის პირველ შეხვედრას ატარებს დღეს ლიტვის კოლექტივთან.

## დაძაბული მატჩები პირველ დღეებიდანვე

ფეხბურთელთა ტურნირის პირველ დღეს ყველაზე დიდ ინტერესს იწვევდა რუსეთის ფედერაციისა და ლატვიის ძლიერი გუნდების შეხვედრა. თამაში მართლაც მეტად დაძაბულ ბრძოლაში ჩატარდა და დამთავრდა რსფსრ-ს ფეხბურთელთა გამარჯვებით — 1:0.

ლიტველმა ფეხბურთელებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს ბელორუსიის გუნდს, მაგრამ მაინც განიცადეს დამარცხება ანგარიშით 1:2. მოსკოველებს აშკარა უპირატესობა ჰქონდათ მოლდავეთის გუნდთან შეხვედრაში და ანგარიშიც სავსებით შეესაბამებოდა ამ უპირატესობას — 5:1. ერთნაირი ანგარიშით — 3:1 მოუგეს ლენინგრადელებმა ყაზახეთის გუნდს და გზათა მიმოსვლის სამინისტროს კოლექტივმა — ყირგიზეთს.

მეორე ტურში კიდევ უფრო დიდი დამარცხება განიცადეს მოლდაველებმა „შრომითი რეზერვებთან“ შეხვედრაში — 0:10, ხოლო სომხეთის გუნდმა მოუგო უზბეკეთს — 1:0.

საქართველოს ნორჩ ფეხბურთელთა დიდი უპირატესობით მიმდინარეობდა მატჩი ლიტვასთან, ანგარიში მე-10 წუთზე გახსნა მარჯვენა გარემარბმა სირაძემ — 1:0. ცოტა ხანში სირაძე კარგად გავიდა ფლანგზე და მიაწოდა ცენტრში და დავითულიანმა (№ 10) ზუსტი დარტყმით გაიტანა მეორე გოლი.

ტაიმის დასასრულს საქართველოს ფეხბურთელთა ერთ-ერთი შეტევა მესამე გოლით დაამთავრა მარცხენა გარემარბმა ჩოგოვაძემ.

მეორე ტაიმში სტუმრებმა საგრძნობლად გამოასწორეს მდგომარეობა, თუმცა საქართველოს ფეხბურთელებს არაერთხელ ჰქონიათ შესაძლებლობა გაეზარდათ ანგარიში.

მატჩი მოიგო ჩვენი რესპუბლიკის გუნდმა ანგარიშით 3:0.

**გაზეთ „ლელოს“ ბრიგადა**

## წერილების კვალდაკვალ

ჩვენი გაზეთის მიმდინარე წლის 8 ივლისის ნომერში დაიბეჭდა წერილი სათაურით—„იყო კოლექტივი. ახლა?“, სადაც აღნიშნული იყო სოხუმის „ტყავფეხსაცმლის“ კომბინატის ფიზკულტურული კოლექტივის საქმიანობაში არსებული სავალალო მდგომარეობის შესახებ.

როგორც კომკავშირის სოხუმის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. დ. კვინიკაძე გვატყობინებს, წერილში აღნიშნული ფაქტები ძირითადად დადასტურდა. „ტყავფეხსაცმლის“ კომბინატში მოეწყო კომკავშირული კრება, რომელმაც განიხილა საკითხი „კომბინატის ახალგაზრდებს შორის ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის გაუმჯობესების შესახებ“ და დასახა სათანადო ღონისძიებანი. ამასთან დაკავშირებით, საქალაქო კომიტეტმა გადაწყვიტა ბიუროს სხდომაზე განიხილოს საკითხი „ტყავფეხსაცმლის“ კომბინატში ფიზკულტურული და სპორტული საქმიანობის გაუმჯობესების დარგში გაწეული მუშაობის შესახებ.

## ვიდრე გვიან არაა

ონის რაიონის სკოლებში ამჟამად გაჩაღებულია შენობების რემონტი, მაგრამ არავინ ფიქრობს სპორტული მოედნებისა და ფიზკულტურული დარბაზების კეთილმოწყობაზე.

ხარჯთაღრიცხვების შედგენისას ეს საკითხი არც ერთ სკოლას არ გაუთვალისწინებია. ჩანს, სკოლის დირექტორებიც ნაკლებ ინტერესს იჩენენ ამ საქმისადმი. ასეთი მდგომარეობაა უწერის, ღების, კვაშხიეთის, თვით ონისა და სხვა საშუალო სკოლებში, ხოლო რაიონის შვიდწლიან და დაწყებით სკოლებში მდგომარეობა კიდევ უფრო უარესადაა.

ვიდრე გვიან არაა, სკოლის დირექტორებმა ყურადღება უნდა მიაქციონ ამ საქმეს, რათა 1 სექტემბერს გარემონტებულ სასკოლო შენობასთან ერთად მოსწავლეებს დაახვედრონ კეთილმოწყობილი სპორტული ბაზებიც.

**დ. ბერიშვილი**

საქართველოს პირველობა

## გათამაშების ცხრილი

**მესამე ჯგუფი**

**IV ზონა**

**საბოლოო მდგომარეობა**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „კოლმეურნე“ (მაიაკოვსკი) | 13 | 9 | 3 | 1 | 26:8 | 21 |
| „მამისონი“ (ონი) | 13 | 8 | 2 | 3 | 28:24 | 18 |
| „სპარტაკი“ (მახარაძე) | 13 | 2 | 1 | 4 | 33:20 | 17 |
| „მშენებელი“ (ჭიათურა) | 13 | 7 | 3 | 3 | 20:15 | 17 |
| „სპარტაკი“ (ვანი) | 13 | 7 | 1 | 5 | 39:25 | 15 |
| „ხვანჭკარა“ (ამბროლაური) | 13 | 5 | 4 | 4 | 19:26 | 14 |
| „გაზაფხული“ (ზესტაფონი) | 13 | 4 | 5 | 4 | 23:19 | 13 |
| „განთიადი“ (ლაჯანურჰესი) | 13 | 5 | 3 | 5 | 16:13 | 13 |
| „შრომა“ (დიდი-ჯიხაიში) | 13 | 5 | 2 | 6 | 19:19 | 12 |
| სტალინის სახ. შახტი (ტყიბული) | 13 | 6 | 0 | 7 | 20:20 | 12 |
| „აბჰესი“ (გეგეჭკორი) | 13 | 4 | 3 | 6 | 26:28 | 11 |
| „კოლმეურნე“ (ზუგდიდი) | 13 | 3 | 1 | 9 | 14:35 | 7 |
| „ციცქა“ (თერჯოლა) | 13 | 2 | 3 | 8 | 16:37 | 7 |
| „ხვამლი“ (ცაგერი) | 13 | 1 | 3 | 9 | 21:31 | 5 |

## კომკავშირელთა ძალებით

ლენინური კომკავშირის მე-40 წლისთავთან დაკავშირებით ქუთაისის საკონსერვო ქარხნის კომკავშირის კომიტეტმა გადაწყვიტა ახალგაზრდობის ძალებით მოაწყოს სპორტული მოედანი და საცურაო აუზი.

ამ გადაწყვეტილებას მხურვალედ გამოეხმაურნენ ახალგაზრდა მეკონსერვეები. ქარხნის ტერიტორიაზე კომკავშირელთა ძალებით მოსწორებულ იქნა წინასწარ შერჩეული ფართობი, სადაც უკვე იმართება შეჯიბრებები კალათბურთში, ფრენბურთში, სიგრძესა და სიმაღლეზე ხტომაში.

**ი. ბუხაიძე**





სპორტულ ბანაკ „ყარაბახში“ (ყირიმის ოლქი) პირველად ჩატარდა საკავშირო მასშტაბის შეჯიბრება წყალქვეშა სპორტში.

ხუთდღიანი დაძაბული ბრძოლის შემდეგ მრავალჭიდში გამარჯვებული გამოვიდნენ მოსკოველი ე. ვორონკოვა და ლენინგრადელი რ. სტუკალოვი, რომლებსაც თქვენ ხედავთ ქვედა სურათზე. ზევით — ე. ვორონკოვა ასრულებს მრავალჭიდის დასკვნითს ვარჯიშს.

ფოტოები ლ. დორენსკისა.

## ტურნირი პორტოროჟში

ტურნირში სრულებით არ იგრძნობა მშვიდობიანი განწყობილება, მიუხედავად იმისა, რომ პარტიების უმრავლესობა ყაიმით მთავრდება. ბრძოლა მესამე ტურშიც თავიდანვე მეტად დაძაბული იყო.

საყოველთაო ყურადღებას იპყრობდა ტალი-პახმანის შეხვედრა. საბჭოთა ჩემპიონს ჩვეულებად აქვს სწრაფი თამაში. პახმანი აჰყვა მოწინააღმდეგის თამაშის ტემპს. პოზიცია მალე გამარტივდა, მაგრამ ტალს უპირატესობის მოპოვების პერსპექტივები ჰქონდა. პახმანმა სწორად შეაფასა შექმნილი ვითარება და ყრუ დაცვაზე გადავიდა. ტალს არაფერი გამოუვიდა და იძულებული გახდა ყაიმზე შეთანხმებულიყო. პეტროსიანს თითქოს უპირატესობა ჰქონდა საბოსთან, მაგრამ თამაში აქაც მალე განიმუხტა და პარტია ყაიმის „ნავსაყუდარს“ მიადგა. ასეთივე შედეგით დასრულდა პანო-ფილიპის პარტიაც.

საინტერესო თამაში გაჩაღდა გლიგორიჩ-ლარსენის პარტიაში. დასაწყისში მოწინააღმდეგეებს თანაბარი შანსები ჰქონდათ, მაგრამ შემდეგ ინიციატივა ხელთ იგდო გლიგორიჩმა, რომელმაც კომბინაციის გზით ეფექტურად დააშამათა დანიელი გროსმაისტერის მეფე. არანაკლებ რთული ბრძოლით მიიწევდა გამარჯვებისაკენ ბრონშტეინი ფიუსტერთან პარტიაში. ფიუსტერი მოხვდა ცაიტნოტში და როგორც უკვე წინა ორ პარტიაში — უხეშად შეცდა, დაკარგა ფიგურა და მაშინვე დანებდა.

დანარჩენი პარტიები არ დამთავრებულა. ავერბახს დიდი უპირატესობა აქვს ბულგარეთის ჩემპიონ ნეიკირხთან. მოგების შანსებს ინარჩუნებს მატანოვიჩიც.

სამი ტურის შემდეგ ლიდერია კვლავ მ. ტალი, რომელსაც 2,5 ქულა აქვს, მას ნახევარი ქულით ჩამორჩებიან დ. ბრონშტეინი, ტ. პეტროსიანი და ს. გლიგორიჩი.

## მოსწავლე მოჭადრაკეთა საკავშირო პირველობა

მეხუთე ტურში საქართველოს მოჭადრაკეები შეხვდნენ ლატვიელებს. ცხარე ბრძოლა შეწყდა ანგარიშზე 4:4. ოთხი პარტია გადადებულია, სადაც მოსალოდნელია მეტად საინტერესო ბრძოლა.

დიდი აღმავლობით მიიწევს წინ უკრაინის გუნდი. უზბეკეთის მოჭადრაკეებთან შეხვედრში მათ 7,5 ქულა დააგროვეს ცხრიდან, სამი პარტია არ დამთავრებულა. სხვა გუნდების შეხვედრების შედეგები ასეთია: ესტონეთი-ლიტვა — 3:2 და შვიდი გადადებული პარტია, მოსკოვი-აზერბაიჯანი — 3:1 და რვა გადადებული პარტია, ლენინგრადი-რსფსრ — 6,5:2,5 და სამი დაუმთავრებელი პარტია.

მეექვსე ტურში უკრაინელებმა კიდევ უფრო განიმტკიცეს ლიდერის პოზიციები, როცა ლიტველებს 6 ქულა წაართვეს ცხრიდან. ძლიერად ითამაშეს საქართველოს წარგზავნილებმა აზერბაიჯანის მოჭადრაკეებთან. ჯერჯერობით შეხვედრის შედეგია 5,5:2,5 მათს სასარგებლოდ.

რუსეთის ფედერაციის მოჭადრაკეები დიდი ანგარიშით უგებენ ესტონელებს. მატჩი შეწყვეტილია ანგარიშზე 7,5:0,5. დასამთავრებელი დარჩა კიდევ ოთხი პარტია. ლატვიელებმა მოუგეს უზბეკებს, თუმცა მატჩი ჯერ არ დამთავრებულა და ანგარიშია 8,5:3,5.

შეუპოვარი თამაშის შემდეგ მოსკოვისა და ლენინგრადის მოჭადრაკეთა მატჩში საყაიმო (5:5) ანგარიშია. დარჩენილი ორი პარტია გამოავლენს გამარჯვებულს.

ექვსი ტურის შემდეგ უკრაინელებს აქვთ 41 ქულა და 14 გადადებული პარტია, მოსკოველებს 37 ქულა და 15 გადადებული პარტია, ხოლო საქართველოს წარგზავნილებს — 34,5 ქულა და 17 გადადებული პარტია.

## ქალაქებსა და რაიონებში

### ტყიბული

ჩატარდა საქალაქო პირველობა ფრენბურთში, რომელშიც მონაწილეობდა ძირეული ფიზკულტურული კოლექტივების 12 გუნდი.

პირველი ადგილი დაისაკუთრა სამშენებლო სამმართველოს ნაკრებმა კოლექტივმა.

**ვ. ოქრუაძე**

### სტალინირი

ვ. ი. ლენინის სახელობის სტალინირის კულტურისა და დასვენების პარკში სამი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა სამატჩო შეხვედრები ფრენბურთსა და კალათბურთში ბათუმის, სოხუმისა და სტალინირის გუნდების მონაწილეობით. შეჯიბრება მიეძღვნა კომკავშირის მე-40 წლისთავს.

გამარჯვება წილად ხვდა ბათუმის კოლექტივს.

**ვ. მელქოევი**

### მესტია

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ლექტორმა ა. ციბაძემ ამას წინათ მესტიელ მშრომელებს წაუკითხა ლექციები თემებზე: „საქართველოს სპორტსმენები საზღვარგარეთ“ და „რაიონის ამოცანები საბჭოთა კავშირის ხალხთა II სპარტაკიადის მზადებისათვის“. მეორე დღეს ლექტორი ეწვია სოფ. მულახის სტალინის სახელობის კოლმეურნეობასაც, სადაც აგრეთვე ინტერესით იქნა მოსმენილი ლექციები.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს იყო პირველი სპორტული ლექცია მესტიის რაიონში.

**ვ. რატიანი**

## პელე № 2

VI მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატის ფინალურ მატჩებში ერთ-ერთ უბრწყინვალეს მოთამაშედ იქნა აღიარებული ბრაზილიის ნაკრები გუნდის მარცხენა შუამარბი პელე.

ესაა 17 წლის ზანგი ევალდო ალვეს „სანტაროსა—სამხრეთ-ამერიკული ფეხბურთის ერთ-ერთი თვალსაჩინო ვარსკვლავი, ტყავის ბურთის გროსმაისტერი.

მაგრამ ბრაზილიას ჰყავს კიდევ ერთი პელე. ეს პელეც ზანგია და სწორედ მარცხენა შუამარბად თამაშობს. პელე № 2 როგორც ორი წვეთი წყალი, ისე წააგავს „შავ პელეს“ გარეგნულადაც და თამაშის მანერითაც და ისიც ისეთივე ბრწყინვალე ფორვარდია.

პელე № 2-ის ნამდვილი გვარია ედსონ არანტეს დო ნასიმენტო. თავისი ასაკით იგი ჯერ ჭაბუკია, მაგრამ იმ მეკარეებმა, რომელთა წინააღმდეგაც მას უთამაშია, მშვენივრად იციან ამ „ჭაბუკის“ საშინელი დარტყმები, საკვირველი სისწრაფე და ვირტუოზული ტექნიკა.

პელე № 2 172 სანტიმეტრის სიმაღლისაა და იწონის 69 კილოგრამს. ესაა ჩინებული ატლეტური აგებულების სპორტსმენი, რომელიც 100 მეტრს გარბის 11,3 წამში და სიმაღლეზე ხტომაში თავისუფლად იღებს 180 სანტიმეტრს.

ედსონ არანტეს დო ნასიმენტო ბრაზილიის მთელ გუნდს უყვარს გულღია, ხალისიანი ხასიათისათვის. იგი გამუდმებით მღერის, იცინის, სულ ეძებს რაღაც სახუმაროს. მოედანზე პელე № 2 თავდავიწყებამდე გატაცებულია თამაშით, ქარივით დაჰქრის და როგორც კი გოლს გაიტანს — ბავშვივით უხარია. იგი უძნელეს მომენტებშიც კი პოულობს გასამხნევებელ სიტყვას ამხანაგისათვის და არ იცის რა არის მოწყენა.

ბურთის თამაში ე. ა. დო ნასიმენტომ დაიწყო იმავე ასაკში, როგორც მისმა კოლეგებმა — ადრეულ ბავშვობაში. 12 წლის ბიჭუნას უკვე ნამდვილი ბუცები ეცვა, ხოლო 16 წლის ედსონს უკვე კარგად იცნობდნენ ბრაზილიის ფეხბურთის ვეტერანები ნ. სანტოსი და დიდი. ამ ხანში მას უკვე ეცვა ეროვნული ნაკრების მაისური მატჩში არგენტინის ნაკრების წინააღმდეგ.

## გათამაშების ცხრილი

**მდგომარეობა 12 აგვისტოსათვის**

**ძირითადი შემადგენლობანი**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი“ | 15 | 10 | 4 | 1 | 39:16 | 24 |
| ცსკ მო | 16 | 8 | 5 | 3 | 33:18 | 21 |
| „ზენიტი“ | 14 | 6 | 6 | 2 | 28:16 | 18 |
| „შახტიორი“ | 15 | 7 | 3 | 5 | 15:17 | 17 |
| „ლოკომოტივი“ | 13 | 6 | 4 | 3 | 23:14 | 16 |
| „დინამო“ მ. | 14 | 6 | 3 | 5 | 26:19 | 15 |
| „ტორპედო“ | 14 | 4 | 7 | 3 | 33:28 | 15 |
| „დინამო“ თბ. | 15 | 5 | 2 | 8 | 26:44 | 12 |
| „დინამო“ კ. | 13 | 2 | 7 | 4 | 21:21 | 11 |
| „მოლდოვა“ | 14 | 2 | 5 | 7 | 15:28 | 9 |
| „კრ. სოვეტოვი“ | 14 | 1 | 6 | 7 | 8:22 | 8 |
| „ადმირალტეეც“ | 15 | 3 | 0 | 12 | 17:41 | 6 |

• • •

⊙ მოსკოვი. 10 აგვისტო. აქ შედგა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში. თამაშობდნენ ცსკ მო და „ზენიტი“.

მატჩი დამთავრდა ფრედ — 2:2.

⊙ სტალინო. 10 აგვისტო. ადგილობრივმა „შახტიორმა“ თავის მინდორზე მიიღო „მოლდოვა“ (კიშინიოვი).

თამაში მოიგო „შახტიორმა“ — 1:0.

⊙ მოსკოვი. 11 აგვისტო. მოსკოვის „სპარტაკი“ შეხვდა „კრ. სოვეტოვს“ (კუიბიშევი).

მატჩი მოიგეს სპარტაკელებმა — 4:1.

## ყოველი მხრიდან

⊙ ბუდაპეშტი. 5-6 აგვისტოს აქ მიმდინარეობდა ამერიკის შეერთებული შტატებისა და უნგრეთის მძლეოსანთა მატჩი, რომელშიც მონაწილეობდა რამდენიმე ჩეხი მძლეოსანი.

ბრწყინვალე შედეგს მიაღწია ამერიკელმა სპრინტერმა გ. დევისმა. სადა რბენაში 400 მეტრზე მისი დრო 45,6 წამი, ხოლო თარჯრბენში 400 მეტრზე მან დაამყარა ახალი მსოფლიო რეკორდი — 49,2 წამი. მსოფლიოში საუკეთესო შედეგი მიმდინარე სეზონში აჩვენა უნგრელმა ი. როჟევოლდიმ 1500 მეტრზე რბენაში — 3.40,3.

ისევე, როგორც ვარშავაში, ჩ. დიუმასმა (აშშ) სიმაღლეზე ხტომაში კვლავ დაძლია 211 სმ. პ. ობრაიენმა (აშშ) ბირთვი ჰკრა 18,89 მეტრზე. აღსანიშნავია ამერიკელი მძლეოსანი ქალის მ. მეტიუსის შედეგი სიგრძეზე ხტომაში — 618 სმ.

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს ამერიკელებმა.

⊙ დუბლინი (ირლანდია). ახალი მსოფლიო რეკორდი 1 მილზე რბენაში დაამყარა ავსტრალიელმა მძლეოსანმა ელიოტმა. მისი შედეგია 3 წუთი 54,5 წამი (ძველი რეკორდი ეკუთვნოდა ავსტრალიელ ჯ. ლენდის).

**რედაქტორი ი. უგულავა.**

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო“, ტელეფონები: რედაქტორის — 3-89-62, პ-მგ. მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 03958